სამშობლო

წ. I 1915 წ. — სამშაბათი 28 აპრილი

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით 7 კაპ.** წლიური ხელის მოწერლებს გახვეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ [illegible] **განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 20 კაპ., [illegible] **15 კ.**, უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მილებულ განცხადებათ. ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 67 — **ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** — № 67

„სამშობლოს ბაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნომერი ერთი შაური, **დამატებიანი—7 კ.** მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. — რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ანა არქიფოს ასული იოსელიანისა, კონსტანტინე იესეს ძე იოსელიანი შვილებით და ძმისწულებით, სიმონ, დავით და გიორგი არქიპოს ძენი ჯანელიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა უეცრად გარდაცვალებას: პირველი ძვირფასი მეუღლისას, მეორე საყვარელი ძმისას, ხოლო უკანასკნელნი დაუვიწყარი სიძისას

ომაინ იესეს ძე იოსელიანისას,

უმორჩილესად თხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, რათა პატივი სცენ ჭირისუფლებს და მობძანდენ მიცვალებულის გამოსვენებაზე ამა აპრილის 28-ს, ღღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, ღენერლის ქუჩაზე საკუთარ სახლში. პანაშვიდი ყოველდღე. ცალკე წერილები არ იქნება. 2—2—182

იყიდება ქ. ქუთაისში, **საუკეთესო ფირმის მაღაზია** აზოვის ბანკის განყოფილების ქვედა სართულში ელიგულაშვილის მამულში მეორე №. **მაღაზია შესაფერათ გაწყობილია ფართლათ:** შალეული, აბრეშუმეული, ბამბეულითა და შეკერული პალტოებით. მყიდველს შეუძლია შეშუდი გადიდოს და აწარმოოს მაღაზია. მსურველს შეუძლია მარტო ფართლეულიც **იყიდოს და წაიღოს**, მხოლოდ ერთად. ფართალი შეძენილია ომის დაწყებამდი და ღღევანდელს ფასზე 30% ნაკლებ დაჯდება. 5—1—186.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ — თ.

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის

ხ. ხრისტოდულიდის

გასული წლების მსგავსად წელსაც მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის **მეაბრეშუმენი** არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გავაფრთხილოთ: დაიცვიროდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აბის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის **სამთელეს** აუცილებლათ **ეურადღება** უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—**რომ კოლოფს ირგვლივ შემოეღებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი** აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

თესლის გაყიდვა გაძელდება.

ელექტრო-თეატრი **„რადიუმი“.**

ორშაბათიდან, **27** აპრილიდან, ახალი პროგრამა.

რუსეთის სამხედრო ქრონიკა

მ. ი. უ. მფარველობის ყოფ. სკობელევის კომიტეტის გამოცემა.

ვარშავასთან.

ვოლგა და ციმბირი.

ერმაკ ტიმოფეევიჩი.

ტრაგედია 4 ნაწილათ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

კაბინეთი მასსაჟის და საექიმო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა **მ. ტ. ბალანჩივაძისა** ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ორთოძლის ვანა,** რომელიც სხვის სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწყითდეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **აგრეთვე ვუცრი ყვავილს.** ავათმყოფების მიღება **დილის 9—2-დე** და **საღამოს 4—6** საათამდი. **რჩევა** და **დარიგება 10 შ.** მორჩენის **ფასი** ადგილზე გაიგება. **მისამართი:** ბენერლის ქუჩა, **ლორთქიფანიძის** სახლი. **თ.**

ექიმი **ი. ჩარეიძვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ე ბ ი

მენაღარიშვილი & ტრუფანოვა.

დ ო ე ბ ი თ ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე **ახალი საშუალებით.** თ.

ექიმი **გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი **ე. ტ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. ღღით 2—3, საღ. 7—8. თ.

ბ ე ბ ი ა **მ. მ. ქოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

გ ა ა მ ო ც ნ ე ლ ი

სტუდენტთა ამხანაგობა

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის სახლის. თ. უ.

ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

პარიზი. 24 აპრილი. მტერმა ორი მკირე იერიში მოიტანა. ერთჯერ ფრიზთან, პერონის დასავლეთით და მეორეთ შამპანში ბოსჟეურის სიმაგრესთან. ორივე იერიში მოვიგერიეთ. ცუდი ამინდის გამო მხოლოთ არტილერიის სროლაა მაასის მარჯვენა ნაპირზე.

ლონდონი. 24 აპრილი. ასკვიტის შვილი მძიმეთ დაიჭრა დარდანელში ბრძოლის დროს.

სოფია. 22 აპრილი. (დაგვიანებული). სტამბოლიდან ტნობაა, რომ ენვერ-ფაშას ეახლა აფიცერთა დეპუტაცია და ზავის ჩამოგდება მოითხოვა. აფიცრები დაატყვევეს და დახვრიტეს.

უიტბი. 24 აპრილი. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ტრალერი „ტერიაილინგტონი“. კიმანდა გადარჩა.

ათინა. 24 აპრილი. მიტილენიდან იუწყებიან, რომ გალიპოლის ნახევარკუნძულზე მოვიდა ენვერ-ფაშა რამდენიმე გერმანელთა აფიცრების თანხლებით. მოკავშირენი წინ მიიწევენ და კილიდბახრის გარშემო სიმაღლეები დაიკავეს. მოვიდა მრავალი ჯარი და მზათ არიან მთავარ ძალებს შეუერთდენ. გაზეთი ენოსი იუწყება, რომ ტენედოსის გუბერნატორმა აუწყა შინაგან საქმეთა მინისტრს: მტრის მთელი ცეცხლი მიმართულია ნაგარას ფორტისკენ, დანარჩენი ფორტები დანგრეულია.

პეტროგრადი. 25 აპრილი. მთავარსარდლის შტაბისაგან. გერმანელთა ჯავშნოსანები ლიბავის პორტს ესროდენ 24 აპრილს. მტრის ერთი ნაღმოსანი ჩვენს ნაღმს დაეჯახა და ჩაიძირა. მიტავას სამხრეთ დასავლეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. პონევეჟის, ბეისაგოლას და როსსიენს 24-ს ბრძოლა არ იყო. ნემანის დასავლეთით მოწინავე რაზმებს შეტაკება მოუხდათ მტერთან. მლავის გზით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში პომიანის ფოლვარკის წინაალმდეგ. ვისლასა და კარპატებს შუა მედგარი ბრძოლა გრძელდება. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მტერს დაღლილობა ეტყობა. დუკლინის გზით ჩვენი უკან დახევისას მტერმა 48 დივიზიას გზა გადაუკრა და ყოველ მხრიდან გარს შემოერტყა. მიუხედავათ ამისა დივიზიამ თავისი უმფროსის, გენერ. კორნილოვის ხელმძღვანელობით და სიმამაცით, შესძლო თავის კორპუსს შეერთებოდა. სტრიის გზით მხოლოთ **სროლაა.**

პეტროგრადი. 25 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოლთისის გზით ჩვენი ჯარი მტერს ავიწროებს. სივირჩაისა და ტორტუმგელის (ტბაა) რაიონში დავატყვევეთ 8 აფიცერი და ერთი როტა ასკერებისა. კარაკილისის სამხრეთ აღმოსავლეთით მცირე შეტაკებები ხდება. ადერბეიჯანში, ლილმანის რაიონში, ცხენოსანთა მოწინავე რაზმებს უხდებათ შეტაკება.

პეტროგრადი. 25 აპრილი. სამხედრო უწყების ცნობა **24** აპრილიდან. გერმანელთა ესკადრა—რამოდენიმე მსუბუქი ჯავშნოსანი და ნაღმოსნები—რომელნიც ლიბავასთან გაჩერდენ, ზღვაში გავიდენ. ერთი ნაღმოსანი დარჩა ლიბავასთან და ქალაქს ესროლა, მაგრამ არავითარი ზიანი არ მიუყენებია. ჩვენი ბატარეიები მარჯვედ უპასუხებდენ. მიტავის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი შეავიწროვა. ჩვენ საგრძნობლათ წინ წავიწიეთ ამ ქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით. ჩვენ ცხენოსან ჯარს შეტაკება მოუხდა მტერთან რადზივილიშკის სამხრეთით. აქ ჩვენ დავიჭირეთ სოფ. ბეისაგოლი. ტყვეთ წამოვიყვანეთ ერთი აფიცერი და **25** ჯარისკაცი. როსსიენის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. ეტყობა მტერს აქ დიდი ძალისთვის მოუყრია თავი. ნემანის მარცხენა ნაპირზე, მარიამპოლ-კალვარიის დასავლეთით, ჩვენ დავიჭირეთ ფოლვარკი სუვალკი—სტარე, სოფელი პოდლიუბოვეკი და 50 ჯარისკაცი დავატყვევეთ. ქ. სუვალკის აღმოსავლეთით და ავგუსტოვოს სამხრეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. მიუხედავათ მედგარი წინააღმდეგობისა ჩვენმა ჯარმა დაიკავა კარცევი. 23 აპრილს გროდნოს სიმაგრეზე გამოჩნდა გერმანიის ჰაეროპლანი და რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. ქალაქში რამდენიმე ადგილას ცეცხლი გაჩნდა, რომელიც მალე ჩააქრეს. ოსოვეცის რაიონში მხოლოდ სროლაა. ჩვენი საალყო არტილერიის ცეცხლმა აიძულა მტრის მძიმე არტილერია სროლა შეეწყვიტა. ბობრეისა და ირჟიცას შუა ბრძოლა არ მომხდარა. გერმანელებმა სცადეს გრუზოვატკაზე იერიში მოეტანათ, მაგრამ მალე უკუვაქციეთ.

პეტროგრადი. 25 აპრილი. ჩვენმა არტილერიამ ლომნიცის მახლობლათ ჩააჩუმა მტრის გაუბიცთა ბატარეია. ორჟიცასა და ვისლას შუა, პომიანის რაიონში, გერმანელებმა შვიდჯერ მოიტანეს მკაცრი და მედგარი იერიში. ჩვენმა ჯარმა გაუძლო მტრის ცეცხლს და ყველა იერიშები მოიგერია. მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. გერმანელებმა უკან დაიხიეს და 1000 მდე მოკლული დასტოვეს. დანარჩენ ადგილებში მხოლოდ სროლა იყო. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა მტრის ბატარეია, რომელიც დანგრია სახლი, სადაც გერმანელთა დივიზიის შტაბი იყო მოთავსებული.

სოლუნი. 25 აპრილი. მიტილენიდან იუწყებიან, მოკავშირეთა ესკადრის გარდა გაიარა კიდევ 12 გემისაგან შემდგარმა ესკადრამ. ამოდენივე არის ტრანსპორტიც.

რომი. 25 აპრილი. ხმებია თითქოს ბიულოვმა მეფეს გადასცა ვილჰელმის დეპეშა, ვილჰელმი თხოვს, იტალია ევროპის ომში ნუ ჩაერევა.

სოლუნი. 25 აპრილი. გუშინ მოკავ-

შირეებმა გადმოსხეს 400 ჯარისკაცი კუნძულ ინგლესონისზე სმირნის ყურის შესავალში. იუწყებიან სხვა დესანტების შესახებაც. მიტილენიდან იუწყებიან, რომ სმირნაზე ქროლა განახლდა.

პეტროგრადი. 26 აპრილი. მიტავის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. მტერმა იანიშკასთან მიატოვა გამაგრებული პოზიცია 24 აპრილს. 25 აპრილს, საღამოს, მტრის ჯარმა ბრძოლის შემდეგ ფლოტის დახმარებით დაიკავა ლიბავა.

ლონდონი. 25 აპრილი. ჰულიდან იუწყებიან, რომ საღამოს გერმანიის წყალქვეშა ნავმა შოტლანდიის ნაპირებთან ჩასძირა გემი „ტრური“. ნორდუმბერლენდთან გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ბრიტანიის გემი „დენი“. ეკიპაჟი გადარჩა.

ლონდონი. 26 აპრილი. ფრენჩი იუწყება, იპრის სამხრეთ აღმოსავლეთით წინანდებურათ გრძელდება. ჩვენ დავიპყრეთ წინა დღით დაკარგული სანგარი. მტერმა სასტიკი იერიში მოიტანა ჩვენი სანგრების წინააღმდეგ იპრსა და პოლკაპელს შუა და იპრსა და მენენს შუა. ბრძოლა გრძელდება. საადმირალო იუწყება, კონტრნალმოსანი „მასრი“ ბელგიის ნაპირებთან ნალმს დაეჯახა. ნალმოსანი ჩაიძირა, კომანდა გადარჩა და მტერს ტყვეთ ჩაუვარდა ხელში. ნალმოსანი „კრუსედერი“ და „მაორი“ რომელიც იქვე იმყოფებოდა შეეცადა კომანდა ნავებში აეყვანა, მაგრამ მტრის ცეცხლის გამო იძულებული გახდა ეს ადგილი მიეტოვებინა. სულ ტყვეთ წაივანეს 7 აფიცერი და 88 მატროსი, ისინი ზეებრიუგეში მიიყვანეს. საადმირალო იუწყება, გერმანიის ცნობა თითქოს გერმანიის დირიჟაბლს ჩაეძიროს ბრიტანიის წყალქვეშა ნავი, ტყუილია. ბრიტანიის წყალქვეშა ნავი უვნებლათ დაბრუნდა და მან გერმანიის დირიჟაბლი დააზიანა.

პარიზი. 26 აპრილი. ბელგიაში, ალიონზე, გერმანელებმა იერიში მიიტანეს სენჯულიენთან ინგლისელთა ბანაკზე. იერიში მოგერებულია. მტერმა დიდი ზარალი ნახა. იპრის სამხრეთით „60“ მეტ. სიმაღლესთან ინგლისელებმა დაიბრუნეს დაკავებული სანგრების ნაწილი. მთელ ფრონტზე არტილერიის ბრძოლაა ლანსის დასავლეთით ჩვენმა ბატალიონმა დაიკავა გერმანელთა პოზიცია. მტერმა სამჯერ მოიტანა უშედეგოთ იერიში ლეპრეტრის ტყეში. მდ. ფეხტის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ ერთი კილომეტრით წინ წავიწიეთ მეტცერალის მიმართულებით.

თფილისი. 26 აპრილი. ვანის ვილაიეტიდან მოსული სამი სომეხი იუწყება, რომ სომხები გამაგრდენ ქ. ვანის ერთ ნაწილში. ჯემალფაშის ჯარმა ვანს ალყა შემოარტყა. მეამბოხეთ პატრონები გამოელიათ. ქრისტიანთა სოფლები აოხრებულია.

რომი. 26 აპრილი. ვატიკანის ავსტრიის საელჩოს მთელი შემადგენლობა გარდა ელჩისა შუალამისას იტალიიდან გავა. ქალაქის თავის ინიციატივით ტრამვაის ვაგონებს დაჭრილ ჯარისკაცთა გადასაყვანათ აწყობენ.

პეტროგრადი. 26 აპრილი. სამხედრო უწყების ცნობა. მტრის შეტევა შესუსტდა ამ დღეების ბრძოლის შედეგი ასეთია: ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია წინდაწინ არჩეულ გამაგრებულ ადგილებისკენ. მეზოლაბორჩის გეზით მხოლოდ არტილერიის ბრძოლაა. 22 აპრ. მტერი გამუდმებით ესროდა ვოლოსატეს რაიონს. კოზიუკოს რაიონში მტერი რამდენჯერმე შეეცადა იერიში მოეტანა.

23 აპრ. ავსტრიელთა პოლკმა იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენ დიდის ზიანით უკუვაგდეთ. საღამოს მტერმა კიდევ მოიტანა იერიში, მაგრამ ახლაც დამარცხდა. ლომნიცის ხეობაში მტრის ორმა ბატალიონმა იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ისინი გაფანტა. 25 აპრ. მტერმა იერიში მოიტანა იავორნიკის მაღლობზე, მაგრამ აქაც მოვიგერიეთ. ერთი სიმაღლის აღების დროს ჩვენ ვიხელთეთ სამი ტყვიის მტყორცნელი. მაკუვკაზე იერიშის დროს, ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 53 აფიცერი და 2250 ჯარის კაცი, 8 ტყვიისმტყორცნელი, 100 ყუთი პატრონით, ერთმა ჩვენმა კორპუსმა ტყვეთ წამოიყვანა 90 აფიცერი, 500 ჯარისკაცი და 21 ტყვიის მტყორცნელი.

პარიზი. 26 აპრილი. ლანსთან გერმანელთა პოზიციის დაპერის დროს ჩვენ ვიხელთეთ ასი საველე (?) არგონებში, ბაგატელთან, ჩვენმა ჯარმა მოიგერია მტრის იერიში. დანარჩენ ფრონტზე არტილერიის ბრძოლაა.

კვინსტოუნი. 24 აპრილი. ოკეანის დიდი გემი „ლუზინსტინია“ გერმანელმა ნალმმა ჩასძირა.

ლონდონი. 24 აპრილი. გემ „ლუზისტანიის“ მგზავრთა რიცხვი უდრის 1978.

ლონდონი. 25 აპრილი. „ლუზისტანიის“ გადარჩენილი მგზავრები კვინსტოუნში მივიდნენ. დაჭრილები საავთმყოფოში მოათავსეს.

ვაშინგტონი. 25 აპრილი. რადგანაც „ლუზისტანიაზე“ ამერიკელი მგზავრებიც იმყოფებოდენ ოფიციალურ წრეებში ირწმუნებიან, რომ ამითი მდგომარეობა გართულებულია.

ნიუიორკი. 25 აპრილი. ამერიკის პრესა „ლუზისტანიის“ ჩაძირვას უყურებს როგორც მეკობრეობას, რომელიც არ ჩაუდენიათ საშუალო საუკუნეთა მეკობრებს. სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა მოითხოვოს, რომ გერმანიამ ხელი აიღოს ასეთ მოქმედებაზე.

ლონდონი. 26 აპრილი. საადმირალო უარყოფს, თითქოს „ლუზისტანია“ შეიარაღებული ყოფილიყოს.

ჩინეთი და იაპონია.

ტოკიო. 25 აპრილი. მინისტრთა საბჭომ იუანშიკაის თავმჯდომარეობით გადასწყვიტა დაეკმაყოფილონ იაპონიის მოთხოვნილება, რადგან მოთხოვნილების რამდენიმე პუნქტი შეიცვალა ჩინეთის სასარგებლოთ.

ტოკიო. 25 აპრილი. ჩინეთმა მიიღო ულტიმატუმის პირობები.

ქურნალ-გაზეთებიდან.

გემების ჩაძირვა.

გერმანელთა წყალქვეშა ნავებმა 17 აპრილს ინგლისელთა ორი დიდი გემი ჩასძირეს. პირველი გემი „მობილე“ ჩაიძირა გებრიდის კუნძულებთან, ხოლო მეორე—„ლილიბელი“ ტაინის სიმაღლეების მახლობლად. ამვე დღეს ინგლისის კრეისერმა დაატყვევეს ლასპალმასის მხლოს გერმანელთა დიდი კრეისერი „მაკედონია“.

იტალიას შესახებ.

მიუხედავათ ზოგიერთ გაზეთის კატეგორიული მტკიცებისა, დიპლომატიურ წრეებში დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ იტალიასა და სამთა კავშირის შორის ჯერ-ჯერობით შეთანხმება არ მომხდარაო. ხოლო „ნოვოე ვრემია“ და „ვეჩერნეე ვრემია“ დანამდვილებით იტყობინებიან, რომ იტალია ერთი კვირის წინ უკვე შეუთანხმდა სამთა კავშირს და პირობაზე ხელი მოაწერაო.

ამის შესახებ გაზეთი „დენ“ ამბობს: შეთანხმების ქალალდი შეიძლება ჯერ-ჯერობით მართლაც დაწერილი არ იყოს, მაგრამ ის კი ეტყვს გარეშეა, რომ ეს შეთანხმება დღეს თუ ხვალ აუცილებლად მოხდებაო.

ინგლისელები და გერმანელები.

გერმანელთა გაზეთ „ბერ. ტაგბლ.“ მოთავსებულია ინგლისში ტყვეთ ყოფილ გერმანელის წერილი. ამ წერილში ინგლისელების შესახებ ნათქვამია, რომ ისინი დიდის ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობიან ტყვე გერმანელებსო. არავითარ ანტოგონიზმს იქ ადგილი არა აქვს, პირიქით საერთო უბედურებად არის აღსარებული დღევანდელი მდგომარეობაო.

ბოსფორი.

რუსეთის ფლოტმა მესამეჯერ დაუშინა ბოსფორს ზარბაზნები და დიდი ზარალიც მიაყენა, როგორც დაწვრილებით გადმოგვცემენ, ფლოტი სრუტეში ნახევრამდის ჩასულა და აზიის ნაპირიდან დაუშინია ფილბურკისა და კოვაკის ფორტებისთვის.

რუსის ჰაეროპლანი.

როგორც კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, 20 აპრილს ქალაქს დაუპირდაპირდა რუსის ერთი ჰაეროპლანი და ყუმბარები ჩამოყარა.

გერმანია და შეერთებული შტატები.

ამერიკის შეერთებულ შტატების ერთ-ერთი გაზეთი წერილში, რომელსაც სათაურად აქვს: „**ვეღომოთ გერმანიას თუ არა**“?—ამბობს: ყოყმანობის დრომ გაიარა და მოქმედების დრო დადგა. საჭიროა პრეზიდენტ ვილსონს მიეცეს მოქმედების თავისუფლება. მთელი ხალხი სავსებით განიზიარებს ვილსონის აზრს და მზნედ მიეგებება ყოველ მის მოთხოვნილებასო.

ასეთი მდგომარეობა გამოიწვია გერმანიის მიერ შტატების ორ გემზე თავდაცემამ.

გებენი.

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ 20 აპრილს „გებენი“ ბოსფორიდან გამოვიდაო.

რუმინიაში.

21 აპრილს ბუქარესტის მუშებმა დიდი ამბით იდღესასწაულეს პირველი მაისობა: მოახდინეს დიდი მანიფესტაციები და მიტინგები. პირველ მაისელებს შეუერდნენ აგრეთვე რუმინიის ომში ჩარევის მომხრენიც ნაციონალური სიმღერებითა და „მარსელიოზით“.

რუსეთის ქრონიკა.

ერობა პოლონეთში. პოლონეთის მომავალ ერობას ვრცლად ეხება „ბირჟევია ვედომოსტი“ და ამბობს: პოლონეთში ერობის შემოღების შესახებ მომხდარ თათბირზე განხილულ იქმნა ერობის დებულებათა ორი ვარიანტი. პირველი—ერობას საფუძვლად უდებს გმინურ და მაზრულ ეროვნულ ერთეულებს. საგუბერნიო საერობო დაწესებულებებს ადგილი არ ექნება და მთელი პოლონეთისათვის დაწესდება ერთი ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც დაევალება ხელმძღვანელობა. ხოლო ასეთი ცენტრალური კომიტეტი, ცხადია, გადაიქცევა ბიუროკრატიულ დაწესებულებათ და ერობას თანდათან დაუკარგავს თავის დანიშნულებას. ამისთვის საჭიროა პოლონეთში განხორციელდეს ერობა 1890 წ. დებულებათა მიხედვით, რომელსაც თან უნდა დაემატოს ადგილობრივ მცხვრებთა კულტურულ-ნაციონალურ თვისებათა სრული დაფასება და მათი მიხედვით ყოველივე საკანონმდებლო მოქმედებათა შემუშავება. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ერობა დამყარება საგუბერნიო საერობო დაწესებულებათ და პროეკტის შემუშავებაში ვრცელ მონაწილეობას მიიღებენ თვით ხალხი და მისი საუკეთესო მოღვაწეები.

„სამღვთო ერთობა“ და გერმანიის „მილიტარიზმი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ამხედრებულ ... ბელგიაში მისმა ... „სამღვთო ერთობა“ სწორეთ ისე, როგორც ერთ დროს „ნაპოლეონის ომება“—„სამღვთო კავშირი“.

დღეს ყველასაგან ქებულის „სამღვთო ერთობის„ შემომქმედათ გერმანიის გამძვინვარებული „მილიტარიზმი“ უნდა ჩითვალოს. თუ კი მართლა ამ „სამღვთო ერთობას“, რაიცა თითქო მთელ ევროპაში გამეფებულა დღეს, დიდი პროგრესიული მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისთვის, მაშინ გერმანიის ცნობილ ეკონომისტ-სოციოლოგის ვერნერ ზომბარტის თქმისა არ იყოს, გერმანიის მილიტარიზმი და ომიც რაღაც „სამღვთო, უწმინდესი“ მოვლენა ყოფილა.

მარა საქმეც და უბედურებაც იმაშია, რომ ეს ქებული „სამღვთო ერთობა“ მეტათ საეჭვო მნიშვნელობისა და ღირსებისაა.

ბელგიაში, მაგალითათ, ერთათ იბრძვიან, ერთად მოქმედებენ: ჯარი ⅆ ხალხი, მეფე ⅆ სოციალდემოკრატი. ბელგიის სოციალდემოკრატიის ლიდერი ვანდერველდე და მეფე ალბერტი ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთათ გამოდიან გერმანიის „მილიტარიზმის“ წინააღმდეგ. ინგლისში მუშები და ლორდები, მუშათა პარლამენტარული ფრაქცია და კონსერვატიული პარტია ერთათ იღწვიან გერმანიის „მილიტარიზმის“ ასალაგმავათ.

საფრანგეთი ხომ სულ აგვირგვინებს ამ „სამღვთო ერთობას“!

აქ ცნობილი სოციალისტი სამბა საზოგადო სამუშაოთა მინისტრათ მიიწვიეს და კიდეც შეაბეს იგი „ერთობის“ ულელში.

სოციალისტი სამბა დღეს გამოსულა, როგორც მინისტრი და „სამღვთო ერთობის“ მქადაგებლათ გადაქცეულა. თუ სანამდე მივიდა მისი ამ მხრით გატაცება და „კლასთა სოლიდარობისადმი“ რწმენა, ამას თქვენ მარსელში წარმოთქმულ მისი სიტყვებიდან აშკარათ დაინახავთ.

ის ახლა ღრმათ არის დარწმუნებული, რომ ჟამი განსაცდელისა, წელიწადი ფრანგთა გაერთიანებისა მიმართულებისა და რწმენის მიუხედავათ უშედეგოთ და უნაყოფოთ არ დარჩება პოლიტიკური პარტიების მომავალი ფსიხოლოგიისათვის.

„ნუ თუ მტერზე გამარჯვების შემდეგ დღევანდელ „სამღვთო ერთობიდან“ არაფერი არ დაგვრჩება“?—კითხულობს იგი და თვითონვე შემდეგს უპასუხებს: „უეჭველია, პოლიტიკური პარტიები ისევ დაიწყებენ ერთიმეორისგან განსხვავების ხაზგასმის აღნიშვნას და კვლავ სხვადასხვა მიზანს დაისახავენ. მაგრამ ეს სამწუხარო

მოქალაქეთა წრე და მისი მნიშვნელობა.

(წერილი მეორე *).

მეორე უდიდესი მოვლენა მე XVIII საუკუნის მიწურულში,—რომელიც უნებლიეთ იპყრობს მკვლევარის ყურადღებას,—არის ძირითადი ცვლილებანი მეურნეობაში.

საშუალო საუკუნეებში ვაჭრობა-მრეწველობის ძარღვები, ე. ი. მსოფლიო მეურნეობის გზები, თავს იყრიდენ, უმთავრესათ, იტალიის ნახევარ კუნძულზე. ძველეთის კულტურული მემკვიდროობა, რომელიც ერთის მხრივ,—გამოიხატებოდა რომაელთა იმპერიის ყოველ ნაწილის სავაჭრო გზებით ხმელთა შუაზღვასთან დაკავშირებაში, ხოლო და მეორე მხრივ იმაში, რომ ყველა სავაჭრო გზების—მცირე აზიისა, სირიისა, აფრიკა—ეგვიპტისა, ატლანტიისა, შიდა გალიისა, გერმანიისა და სკვითთა ქვეყანისა—ყველა ამ გზების ქსელის შუაგულს იტალია წარმოადგენდა,—ეს კულტურული მემკვიდროობა იტალიას შერჩა მე XV ს—მდე. ამის შედეგი იყო იტალიის ეკონომიური აღორძინება მე-XII—XV სს. ამერიკისა და ინდოეთის აღმოჩენამ გაბა ახალი სავაჭრო გზები გარეშე იტალიისა, ოკეანის სივრცეზე, აქეთ გადიხარა მსოფლიო მეურნეობა და იტალიის მნიშვნელობა თანდათან დაქვეითდა. სავაჭრო მიმართულებათა ადგილის გამოცვლით ისარგებლა იმ ქვეყნის ვაჭარ მრეწველთა წრემ, რომელიც სხვაზე მეტათ იყო დაკავშირებული ოკეანესთან. ეს გახლდათ ინგლისი. სრულებით განსაკუთრებულსა და ფრიად ხელის შემწყობ პირობებში იმყოფებოდენ მაშინ, ე. ი. მე-XVIII საუკუნის

*) იხ. „საქმობლო“ №№.

პირველ ნახევარში, ინგლისი და მისი ვაჭარ-მრეწველნი.

იტალია ძალზე დაქვეითებული იყო და მისი ვაჭრობა-მრეწველობა თითქმის სრულებით განადგურდა ახალ ქვეყნების აღმოჩენითა და მსოფლიო მეურნეობის სავაჭრო გზების ოკეანეზე გადატანით. ამავე მიზეზისა გამო დაქვეითდა გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობაც. საფრანგეთის მრეწველთა წრეც შესუსტდა სარწმუნოებრივი ომებითა და გუგენოტების ემიგრაციით. ნიდერლანდის მოქალაქობრივობა იმსხვერპლა ახალმა სავაჭრო გზებმა, საფრანგეთთან ომებმა და ალბას შეუბრალებელმა სისასტიკემ. ნიდერლანდიდან განდევნილი—გამოცდილებით სავსე ხელოსნები—თავს იყრიდენ ინგლისში, აქ იფარავდა თავს ბევრი გუგენოტიც: ამ უცხო ხელოსნებმა ინგლისის მრეწველობას შემატეს ახალი ცოდნა და გამოცდილება, მეტადრე მატყლეულობის დამუშავებაში და მაუდისა და ტილოს დართვა—ქსოვაში. ვაჭარ-მრეწველთა საქმიანობამ ამით მიიღო ახალი ენერგიის წამაქეზებელი ნაკადული.

მე XVIII ს. დასაწყისშივე ვაჭართა ხელში თავს იყრის მსხვილი კაპიტალი, რასაც ცხადათ მოწმობს იმდროინდელი სიმრავლე ბანკებისა და სიმცირე %-სა. 1694 წ. ვაჭრები აარსებენ ახალ ბანკს. პიტი უფროსი ახორციელებს **75 მილიონის სესხს მხოლოდ სიტას *) ვაჭრების საშუალებით.**

ინგლისის ეკონომიურ ცხოვრების საუკეთესო მაჩვენებელია იმის გასინჯვა, თუ როგორ იზრდებოდა ინგლისელ სავაჭრო გემების წყალ-წყვა. 1663 წ. ინგლისელ სავაჭრო ფლოტს ჰქონდა 95000 ტონის

*) City—ლონდონის ძველი ნაწილი, სადაც სცხოვრობს ფულის არისტოკრატია.

წყალ-წყვა. 1712 წ. კი 327000 ტ., 1786 წ. წყალ-წყვა უკვე 932000 ტონამდე ადის, ე. ი. 80 ოდე წლის განმავლობაში ინგლისელ სავაჭრო ფლოტის წყალ-წყვა გაათკეცებულა.

მე—XVII საუკუნის გასულს ინგლისი ამუშავებდა 2 მილიონ გირვანქის მატყლს და ამზადებდა 7 მილიონ გირვანქის საქონელს. 1741 წ. ამუშავებდა 3 მილიონ გირვანქის მატყლს და ამზადებდა 8 მილიონ გირვანქის საქონელსა. 1750 წ. სიტის ვაჭრობის შემოსავალი ბევრით სჭარბობდა ლორდთა პალატის ყველა დეპუტატებისა და ეპისკოპოსთა ადგილების შემოსავალის მთელს ჯამს! საწარმოო კაპიტალი ძალზე დიდდებოდა. 1663 წ. მთელი ჯამი შემოზიდულისა და გაზიდულ საქონლისა უდრიდა 6 მილიონ გირვანქას, 1714 წ. კი მხოლოთ გაზიდულია 8 მილიონი გირვანქის ღირებულება. 1761 წლ. გაზიდულის რაოდენობა უდრის 16 მილიონ გირვანქასა და შემოზიდულისა კი 10 მილიონსა. არამც თუ საფართლო, სამთამადნო მრეწველობაც ძალზე ვითარდებოდა და იპყრობდა ფართო ბაზრებს. მთელი სახალხო მეურნეობა იხატებოდა მოქალაქეთა საქმიანობასა, ვაჭრული ანგარიშიანობასა, ქარხნების საშუალებით ნედლ მასალის დამუშავებასა და ამგვარათ საზოგადოებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში. ისეთი ენერგიული მუშაობა სწარმოებდა ოდესღაც ჭაობებით აშმორებულს, ულრან ტყეებით დაფარულ ინგლისის მიდამოებზე, რომ ყოველი წელი ახალ ძალას მატებდა **მთელს სახელმწიფოს.**

სავაჭრო	საქონელის	რაოდენობა	უდრიდა.
წელი	შემოზიდულისა		გაზიდულისა.
1790	16390000		17636000
1791	17190000		20016000
1792	17037000		22095000
1793	16972000		17734000
1794	19539000		22633000
1795	20100000		22231000
1796	20422000		25130000
1797	17900000		23881000
1798	22122000		27317000
1799	24067000		29557000
1800	28258000		34382000

1790 წ. ჯამი გაზიდულ საქონელთა რაოდენობისა 17636000 უდრიდა შემოზიდულისა კი 16390000 შევადაროთ ამ ციფრებს იმავე საგნის აღმნიშვნელი ციფრები 1800 წლისა: 34382000 გირვანქის გაზიდული საქონელი და 28258000 გირვანქისა შემოზიდული და ცხადათ წარმოგვიდგება თვალ წინ მთელი სიდიადე ინგლისელ ვაჭარ-მრეწველთა დაუღალავ შრომისა: 10 წლის განმავლობაში უცხოეთთან ვაჭრობა გაუორკეცებიათ. გაუჩერებელი, მუდმ მოძრავი სული ინგლისელ ვაჭარ—მრეწველისა შეუპოვრათ მეტოქეობს მთელს უცხოეთს. წყალ-წყვა ბრიტანიის იმპერიის (British Empire) სავაჭრო ფლოტისა საგრძნობლათ მატულობს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად. ათი წლის განმავლობაში წინსვლელობა ვაჭრულ ვითარებისა პირდაპირ გასაოცარია. 1788 წ. სავაჭრო ფროტის წყალ-წყვა უდრიდა 1359000 ტონსა, 1799 წ. კი 1753000 ტონსა. განვიხილოთ ამ წინმსვლელობის გრადაციები:

		წყალ-წყვა სავაჭრო გემთა:	
წლ.	დიდი ბრიტ.	ახალშ.	მთელი იმ.
1788	1275000	84000	1359000
1789	1303000	87000	1390000
1780	1376000	90000	1466000
1791	1415000	96000	1511000
1792	1437000	103000	1540000
1793	1453000	111000	1564000
1794	1456000	133000	1589000
1795	1426000	149000	1575000
1796	1460000	159000	1619000
1797	1454000	161900	1615000
1798	1494000	172000	1666000
1799	1551000	202000	1753000

ნაობსნობის გაფართოებას საძირკვლათ ედოზოდა ინგლისელ ვაჭრობის განყოვლადებას, მისი მსოფლიოთ გადაქცევას.

თუ რა რიგათ იყო ჩაბმული ინგლისელობა მსოფლიო ეკონომიკაში, ამას შემდეგი გვასწავლის.

ბრიტანეთის ნავთსაყუდარში შესულ-გამოსულ გემთა რაოდენობას გვამცნევს შემდეგი ციფრები:

წლ.	შევიდა	გამოვიდა	სულ
1772	894000	996000	1890000
1775	1078000	966000	2044000
1783	1136000	1039000	2175000
1792	1791000	1678000	3089000
1800	2142000	2178000	4320000

ეს ციფრები უკვე თავისთავათ მოწმობს, თუ რა რიგათ უნდა ყოფილიყო განვითარებული ინგლისური მრეწველობა, მაგრამ ჩვენ მოგვეპოება ზოგი პირდაპირი ცნობაც ზოგიერთ სამრეწველო დარგის შესახებ. თუმცა არკრაიტმა 1768 წ. პირველათ დააარსა ბამბეულობის ქარხანა, მაგრამ 1788 წელს ამ ქარხანათა რიცხვი უდრის 142. თითო წელზე მოდის შვიდ-შვიდი ქარხნის გახსნა ერთსა და იმავე სამრეწველო დარგში. ამ ქარხნებში ტრიალებდა 2 მილიონი თითის ტარი (веретень—Spindel), რომელიც ამზადებდა 7 მილიონ გირვანქის საქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსებ მაქსიმეს ძე ხელაძე, მეუღლე მისი მაკრინე ჭიაშვილის ასული, შვილები: ნინა და გრიშა, ფილიპე მაქსიმეს ძე და შალვა ფილიპეს ძე ხელაძენი მწუხარებით გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებსა და მეგობრებს, რომ 18 აპრილს ბრძოლის ველზე იქნა მოკლული პირველნის უსაყვარლესი შვილი, მეორეთა ძვირფასი ძმა, მესამის დაუვიწყარი ძმის შვილი და უკანასკნელის ბიძის-შვილი

ეროპორჩიკი ვახტანგ ოსების ძე ხელაძე,

რომლის პანაშვიდი დანიშნულია ამა აპრილის თვის 29 რიცხვს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე, საღორიის ქუჩაზე, საკუთარ სახლში.

როდი იქნება. ასეთი განხხვავება-უთანხმოებაზე ჯერ ისევ მეთვრამეტე საუკუნეში გვითითებდა მინისტრი გიზო, რომელიც ამას თავისუფალ ქვეყნების კანონიერ და აუცილებელ მოვლენათ თვლიდა; იგი ასეთ სხვადასხვაობას წარმომადგენლობითი რეჟიმის არსებითი პირობათ სახავდა.

მაგრამ, განაგრძობს სამბა, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ: დიდი უბედურება იქნებოდა საფრანგეთისათვის, რომ ომს ჩვენთვის არაფერი ახალი არ ესწავლებია და განსაცდელის გავლის შემდეგ ყველა ის გაკვეთილები დაგვევიწყნა, რაც ომის დროს გერმანიამ მოგვცა.

სამშობლოს დაცვისთვის ერთათ მოქმედების ჩვეულებამ ჩვენს სულში ადმოუფხვრელი კვალი უნდა დატოვოს. ჩვენ ამიერიდან უნდა შევინარჩუნოთ ის გემოვნება - მიდრეკილება, რომ საფრანგეთის აღორძინებისთვის „ერთათ მუშაობა“ შეეძლოთ. პოლიტიკური ბრძოლის მიუხედავად „საერთო მოქმედებას“ ფარული საერთო ასპარეზი უნდა ჰქონდეს დათმობილი“.

სოციალისტ მინისტრს—სამბას—ჰგონია, რომ კლასთა ბრძოლა თავის გზით იწარმოებს და მაშასადამე ანტაგონიზმს გაალრმავებს, ხოლო კლასთა სოლიდარობა, „საღმთო ერთობა“ კიდევ—თავის გზით და აქედან „საერთო სამშობლო“ პროგრესის გზაზე სწრაფათ ივლის და აყვავდება!

დ—ელი.

მწარე ფიქრები...

დასავლეთ ასპარეზზე, იბრთან ახლად მომხდარ დიდი ბრძოლის შესახებ გერმანელებსა და მოკავშირეთა ჯარების შორის, ერთი ინგლისელი კორესპონდენტი ასე ასწერს ამ საშინელი სისხლის ღვრის სურათს: სასტიკი ხელ-ჩართული ხოცვა-ჟლეტა მთელი დღე გაგრძელდა. ზარალი მეტად დიდია. სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა ღამითაც, როდესაც დედამიწას ნაზათ ანათებდა მთვარის შუქი...

გაზაფხულის სადამოს მთვარის ნაზი შუქი! ეს ხომ სიცოცხლის წინამორბედი, აღორძინების და განახლების იმედი იყო?

განა ამ მთვარის ნაზ შუქს არ უმღერდა პოეტის ჩანგი?

მერე სად გაჰქრა ეს საგალობელი?

იგი დათრგუნა ბოროტი დემონის ხარხარმა, მებრძოლთა თოფ-ზარბაზანის ჟექა-ქუხილმა, გააფთრებულ ადამიანთა ღრიალმა, დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესამ და ოხვრამ.

და ეს ყოველივე დღეს... მეოცე საუკუნეში, მაღალი ლოზუნგებისა და საკაცობრიო იდეალების მეფობის ხანაში. სწორეთ იმ დროს, როდესაც ჩვენში ბევრს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ეროვნულ საკითხზე ხმის ამოღება და სათაკილოდ მიაჩნდა მისი არსებობის აღიარება...

დღეს ფრანგი სოციალისტი რეიმსის ტაძრის კედლების წინ სდგას. თვის კაცთმოყვარე გულს და კეთილი აზრებით გაბრწყინებულ შუბლს უშვერს მტრის ცივ ტყვიას, რომ შეაჩეროს და გადაარჩინოს განადგურებისაგან ეროვნული ღირებულება, ეროვნული სიწმინდე, კულტურა.

მის მოპირდაპირედ სდგას მისივე „იდეური ამხანაგი“, ყოფილი მოკავშირე, თანამოაზრე, ოდესღაც ერთ რაზმში მყოფი, ერთად მებრძოლი, საერთო მტრის—ძალმომრეობის წინააღმდეგ. დღეს იმასაც იგივე მისწრაფება აღგზიებს ხელში მახვილს, რომ დაიცვას თავისი ჯერ განადგურებისაგან.

ამ საშინელმა ომმა,—თვით ურწმუნოთა-თვისაც-კი,—ნათელჰყო, რომ თურმე დიდ ლოზუნგებთან ერთად ადამიანის გრძნობა-გონებაში ყოფილა ჩამარხული ეროვნული სახიერებაც, რომ იგი არც მოგონილი და არც ძალად შექმნილი არ არის.

ცხოვრებამ მოითხოვა, ბრძანა და ფხიზელი ადამიანის გონებამ მყისვე მუხლი მოიდრიკა იმის ბრძანების წინაშე...

მაგრამ თავის დაცვა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თავის თავს ცოცხლად სთვლის. ვინც ატარებს თავის ძარღვებში სასიცოცხლო ძალას. ვისაც აქვს რწმენა და შეგნება თავისი ძალისა და ღირებულებისა და ვაი იმას, ვინც უკვე უძრავად, უმოქმედოთ, ლეშად გადაქცეულა, იგი ამ საკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის უმალ დაიღუპება, რადგანაც თავის დაფერფლილ გულში ვეღარ აღანთებს თავდაცვის მგზნებარე ცეცხლის ალს...

და სწორეთ დღეს, მოწინავე ერების მოწინავე ელემენტებმა დაამტკიცეს, რომ მათ რწმენა-იდეალებზე არა ნაკლებ ყვარებიათ თავიანთი სამშობლო და მის კეთილდღეობისათვის თავსაც სწირავენ..

ჩვენი, დღევანდელი ქართველების სიამაყე უცხო ქვეყნებიდან ნასესხი ფრაზები და აზრებია. მაშ, თამამად და გაბედულად გადმოიღეთ მათი უკანასკნელი მაგალითიც. იწამეთ ის, რაც საწამებელი ყოფილა. ნუ წითლდებით იმიტომ მხოლოდ, რომ ნასესხებმა ოცნებამ სინამდვილის წინაშე წაიფორხილა.

ისწავლეთ თქვენი მასწავლებლებისაგან, თუ როგორ უნდა გაპირვების ჟამს სამშობლოს დაცვა. ან იქნება ჩვენი სამშობლო ამისი ღირსი არ იყოს? იქნება ჩვენს დღევანდელ „ძლევამოსილებას“ არ ეკადრებოდეს ჩვენი წარსული ისტორია?

მაშ ვისი წყალობაა ჩვენი ძველი მწიგნობრობა, მწერლობა, ენა და სარწმუნოება ჩვენამდე წმინდად შენახული, რომელიც მხოლოდ ჩვენს ხელში იბღალება და კნინდება თანდათანობით.

განა ჩვენი წარსული არ იყო ძლიერ წეს-რიგით, ხუროთ-მოძღვრებით, ხელოვნებით?

რა ვუყოთ, რომ ჩვენ წინაპართა ნიჭი და ენერგია მაშინდელ დროში მხოლოდ სრა-პალატებს, ციხე-სიმაგრეებს და სამლოცველო ტაძრებსა ჰქმნიდა.

ჩვენ, შეიძლება, დღეს ეს აღარ გვაკმაყოფილებს. ჩვენი შემეცნების ჰორიზონტი ფართოდ გადაიშალა, ზღვას გადასწვდა, მაგრამ—ვაგლახ,—რომ ჩვენ მხოლოდ მეოცნებეთ და სიტყვების ქურუმად ვრჩებით, მხოლოდ ლაპარაკი გვემარჯვება.

ძველი თუ არ მოგვწონს, მაშ სადაა ჩვენი შემოქმედების ნაყოფი, ჩვენი ახალი ხელოვნება, მეცნიერების ახალი ტაძრები. არსად. ჩვენ არაფერი შეგვიქმნია და არც გვაქვს ძალ-ღონე საქმით თავი ვისახელოთ. გვავიწყდება, რომ ამისთვის საჭიროა ჩვენ ღირსეულ წინაპართა მტკიცე ნება, აღმასრულებელი ძალა და გმირული სული.

ჩვენ დავკარგეთ ეს დიდი ღირსება.

ჩვენ არამც თუ ვაშენებთ, აშენებულ დიად ეროვნულ ძლიერების გამოხატულებას, რომელიც დროთა სიავით სანახევროდ დაქცეულა, კიდევ უფრო ვაქცევთ, ვაოხრებთ და მოსპობას ვცდილობთ.

ვისაც შეუძლიან იგრძნოს ხელოვნების დიადი ზედგავლენა, მიბრძანდით ბაგრატის დიდი ტაძრის ნანგრევების დასათვალიერებლათ.

შებრძანდით ამ ტაძრის თაღ გადაცლილ სამლოცველოში, თვალი შეავლეთ მის მაღალ კედლებს, ვრცელ სივრცეს, უდიდეს სვეტებს, მარმარილოს ლოდებს და დარწმუნდებით, რამდენად უჩინარი, ეტომატი გეჩვენებათ თქვენი თავი და მასთან მთელი თანამედროვე ქართველობა ამ წარსულის უტყვ მოწმის წინაშე.

ჩვენ, რასაკვირველია არ ვოცნებობთ ამ ტაძრის ოცნება-განახლებაზე. არა, ჩვენ იმათ შთამომავალს აღარ ვეკუთვნით ვინც ეს უდიდესი სვეტები, ქუჩურთმით თლილი ქვები და არნამენტებით მოხაზული მასალები აზიდა ამ მაღლობზე, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გატაცება-გაფლანგვა უკვე არსებულისა და მართლაც, ტაძრი დასავლეთი კედელი მთლად გაძარცულია. ლამაზი თლილი ქვები კედლებიდამ გამოღებული და გატაცებულია.

ერთი დიდი სვეტი და რამოდენიმე მშვენიერი ხელოვნებით თლილი ქვა, იქვე ტაძრის პირდაპირ, არქიელის ეზოს გალავანში ჩაუტანებიათ და უბრალო ტალახსა და ქვებში ამ დიდებული ტაძრის ამაყი ხელოვნების ნაწილები, თითქმის დაცინვით და საყვედურით გამოიყურებიან ჩვენდა შესარცხვენად...

დიახ, მწარეა ჩვენი ფიქრები...

ჩვენი თავი ჩვენგნითვე უარყოფილია, დაწიხლულია და დაჩრდილული ჩვენი შემოქმედების ღირებულება. საკამათოდ და საპოლემიკოდ გამხდარა ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი...

ჩვენ უკვე საკმაო ეროვნულ უკეთურობას განვიცდით, მაგრამ უწყალო ბედმა ამაზე უფრო სასტიკი განსაცდელი რომ მოგვივლინოს, ჩვენ მაინც ჭკუას ვერ ვისწავლით.“

მაშინაც ჩვენ ერთმანეთში ჩხუბს და პარტიულ შეხეთქებას არ მოვიშლით და მტრის პასუხის გაცემის ნაცვლად, ერთმანეთს თავზე პოლემიკით სავსე გაზეთის ფურცლებს გადავახვევთ.

ჯაფარ-ფაშა.

ახალი ამბავი.

კვირას, 26 აპრილს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში „სამშობლოს“ რედაქციის, ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობის, ქუთ. ქართული გიმნაზიის დირეკტორისა და მასწავლებელთა კორპორაციის მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულის ბელეტრისტის და საზოგადო მოღვაწის ნიკო ლომოურის სულის მოსახსენებლათ.

✦ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი ბ. ია ეკალაძე და ის კომისია, რომელიც ნიკო ლომოურის ნეშტის დაკრძალვაზე დასასწრებლათ იყო წარსული ქ. გორიდან უკვე დაბრუნდა. დამსწრეთა გადმოცემით, მიუხედავათ ცუდი ამინდებისა გასვენებას დიდძალი საზოგადოება დასწრებია. დაწვრილებით ცნობებს შემდეგ ნუმერში მოვათავსებთ.

✦ ქუთაისის საერთოიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობამ ქალთა საზოგადოების სახელოსნო სკოლის სასარგებლოთ ასი მანათი გადასდვა. ამ ფულის შესახებ ქალთა საზოგადოებას ამას წინათ აღძრული ქონდა შუამდგომლობა ხსენებულ ბანკის წინაშე. დახმარების შესახებ ასეთივე შუამდგომლობა აღუძრავს ქალთა საზოგადოების გამგეობას სათ. აზნ. საადგ.-მამულო ბანკის გამგეობის წინაშე.

✦ ქუთ. დრამატიული საზოგადოების გამგეობის კრება გასული სეზონის ანგარიშების განსახილველათ მოხდა ხვალ, 29 აპრილს. საზოგადო კრება კი დანიშნულია 5 მაისისათვის.

✦ გუშინ ქალაქის თვითმართველობაში დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება. კრებას გასარჩევი ჰქონდა 24 საქმე.

✦ 26 აპრილს, დილით, ებრაელების უბანში იპოვეს ახლად დაბადებული მკვდარი ბავშის გვამი დედრობითი სქესისა.

✦ ბაზრის მეთვალყურის თანაშემწემ ბ. კორძაიამ ოქმი შეუდგინა 26 აპრილს მეფურნე ვლადიმერ დვალს ნიხრის დარღვევისათვის. ოქმი შეუდგინა აგრეთვე ჩარჩ მოვაჭრე ფარნაოზ ჩოგოვაძეს, დილით ადრე ორი საპანე ლობიოს ყიდვისათვის.

✦ ქალაქის სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ უსუფთაობის გამო ოქმები შეუდგინა დ. თმრონიშვილს, მ. ჩიკვაშვილს და ი. კიტელაშვილს.

✦ ქუთ. მთავრობის ქალთა რვა კლასიანი გიმნაზია წელს დაასრულა სულ 30 ქალმა. აი მათი გვარებიც: ადამია ნინო, აფრიდონიძე ნინო, ასათიანი ნინო, ახვლედიანი ნადეჟდა, გაჩეჩილაძე მარიამი, კაციტაძე ნინო, კუროჩკინა ზინაიდა, კუსკოვი ელენე, ლეკიშვილი პიტა, ლორთქიფანიძე თამარა, მარგველაშვილი თამარა, მურადოვი აგრაფენა, [illegible] მარიამი, რომანოვა ნადეჟდა, [illegible] ანა, სობურდო ანა, თვალ[illegible] ურუშაძე ნატალია, ხუნდაძე ფედოსი, ჭავჭანიძე ნინო, ჭეიშვილი აკიმინა და შარაბიძე ნინო.

✦ კვირას, 26 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა საერთოიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის წევრთა წლიური კრება. კრებაზე სულ გასარჩევათ დანიშნული იყო ოთხი საქმე. კრებამ გასული წლისა და მდგომარე წლის ანგარიშები ხანგრძლივი კამათის შემდეგ უცვლელათ დამტკიცა. ჯამაგირები მოუმატეს ბულგალტერს და ორ კასირს.

ბანკის თავმჯდომარემ თავ. ნ. ერისთავმა კრებას მოახსენა, რომ ავადმყოფობის გამო სამსახურს თავს ანებებს. საზოგადოებამ თავ. ერისთავს 11 წლის ერთგული სამსახურისათვის მადლობა გამოუცხადა და 2.000 მანეთით დააჯილდოვა. დანარჩენი საკითხების გარჩევა შემდეგისათვის გადაიდვა.

✦ სოფ. კურსების საკრედიტო ბანკის გამგეობამ ქ. ბათომიდან გამოიწერა 200 ფუთი შაბიამანი, რომელიც უკვე მიიღეს. ბანკის გამგეობამ შაბიამანი ბანკის 160 წევრს თანასწორათ გაუყო და ამას გარდა მიყიდეს 155 ღარიბსა და ჯარში გაწვეულთა ოჯახებს. შაბიამანი გაყიდეს ფუთი 7 მ 60 კ. თვითონ კი მოტანით 6 მანეთად დაუჯდათ.

✦ 26 აპრილს ტყიბულის რაიონში გორაკები ჩამოთოვა.

✦ ქუთაისის გუბერნატორს 6 სხვადასხვა პროვიზორი სთხოვს მისცეს მათ ნება ქუთაისში აფთიაქების გახსნისა. ამის შესახებ ბ. გუბერნატორი ქალაქის გამგეობას სთხოვს აცნობოს შეიძლება თუ არა დართონ მთხოვნელებს აფთიაქის გახსნის ნება.

✦ სრულიად რუსეთის წითელი ჯვრის კავშირის ქუთაისის განყოფილებამ ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა გადამდებ სნეულებიანთა საავადმყოფოს ინსტრუქცია, რომელიც შედგენილია განსაკუთრებული კომისიის მიერ უმაღლესი სახლობის ლეიბ-მედიკის ვ. პ. რაევის თავმჯდომარეობით.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრ. ქუთაისის განყოფილების გამგეობას ქუთ. გუბერნატორის ბ. პოტულოვის შუამდგომლობით უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ქალაქის ბაღში საზოგადოების სასარგებლოთ გამართოს სეირნობა ლოტარეია ალეგრით.

✦ დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება წარმოდგენა კონცერტულ და ლიტერატურული განყოფილებით. კონცერტულ განყოფილებაში სხვათაშორის პირველად იმღერებს ჩვენს სცენაზე იტალიის ოპერების რუსი მომღერალი ქალი ორლოვისა.

უფასო სასადილოს მომწყობი კომისიის კრება.

შაბათს, 25 აპრილს, ქალთა საზოგადოების სახელოსნო სკოლის დარბაზში შესდგა ჯარისკაცთა ბავშვებისათვის უფასო სასადილოს მომწყობი კომისიის კრება, რომელსაც დაესწრო კომისიის ყველა წევრი, ქალთა საზ. გამგეობის წევრები და გარეშენიც. კრებამ თავჯდომარეთ აირჩია ია ეკალაძე და მდივნათ ნიკანდრი ასათიანი. კრებამ სასადილოს მოწყობა უხერხულათ იცნო, რადგანაც სადილით ჯარისკაცების ყველა ბავში ვერ ისარგებლებდა და დაადგინეს, იშუამდგომლონ გუბერნატორთან, რათა ნება დართოს სასადილოს მაგივრათ დაურიგონ გამომცხვარი პური. კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს მოხსენება ბ. გუბერნატორთან წასარდგენათ. კომისიაში შედის ს. გ. ყიფიანი, ია ეკალაძე და რაე. კანდელაკი. მოხსენება შედგენილი უნდა იქნეს ამ თვის დამლევამდის და გუბერნატორს უნდა წარედგინოს ქალთა საზოგადოების გამგეობის სახელით.

სასადილოს მომწყობ კომიტეტის წევრებმა ქალთა საზ. გამგეობას, ჯარის კაცების ოჯახების შესახებ შეკრებილი ცნობები უკვე ჩააბარა.

თფილისი.

— ექიმი გულულიანცის მკვლელები უკვე დაიპატიმრეს, ზოგი მათგანი უკვე გამოტყდა დანაშაულში. როგორც ირკვევა, ექიმი ახლო ნაცნობი ყოფილა ვილაც ნაძირალა საეკვო პირების და ამ პირებს 15 მარტს გაუტყუვნიათ ვერის საფლაოსაკენ. აქ მისთვის გამოუტრიათ

სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესებით? მოქალაქეთა წრემ; მე-XVIII-ს. ბრიტანეთში იყო სულ 17 მილიონი მცხოვრები ამათგან მხოლოდ 200,000 ოჯახი იყო ამომრჩეველი პარლამენტში. ამისდა მიუხედავათ, მოქალაქეთა წრე პოულობს თვით პარლამენტსა და მთავრობის წრეშიც თავის უფლებების დამცველს: გამძლავრებული მოქალაქეთა წრე შეუმჩნევლათ აბატონებს თვის აზროვნებას, თავის შეხედულებას მთელს ინგლისურ საზოგადოებაში: უფროსი პიტი ხედავდა თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობას ვაჭარ-მრეწველთა გაძლიერებაში და კოლონიების გამრავლებაში. თვით 1688 წლის რევოლიუცია იყო ვაჭარ-მრეწველთა ინტერესების გამოხატულობა: ნაშობი რევოლიუციისა ვილჰელმ ორანიისა თავის მეფობაში ეყრდნობოდა გამძლავრებულ ვაჭარ-მრეწველთა წრეს, რომლის ხელშიც ერთდებოდა მთელი ქვეყნის ეკონომიკის ყველა ძაფი. ამის გარდა მინისტრთა პასუხისმგებლობა, მეფის ნების შეზღუდვა, კანონი ყოველ სამის წლის განმავლობაში პარლამენტის მოწვევისა, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეფის პირად გასავლის გამოყოფა—ეს ყველაფერი იყო მოქალაქეთა წრის ინტერესების მოთხოვნილება. ეკონომიურათ მძლავრნი მოქალაქენი ადვილათ იმონებდენ პოლიტიკურ სფეროსაც. როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში დიადი მოვლენანი წარმოებენ ერთსა და იმავე ფონზე, რომელსაც შეადგენს მოქალაქეთა წრე.

ახლა განვიხილოთ გერმანიის ვითარება.

ტიტე.

პირველს ათეულ წლებში საზოგადოების აქციების მომგებიანობა უდრიდა 170%-ს, რის გამოც დაარსდა მეორე საზოგადოება პლისმუტისა უკვე 2 მილიონ გირვანქის ძირითადი თანხით. ეს ორი საზოგადოება შეერთდა 1708 წ. უკვე 2686 წ. საზოგადოებას მიენიჭა ყოველგვარი პოლიტიკური უფლება ინდოეთში. მის გამგეობას ექვემდებარებოდა აღებულ ქვეყნების სამოქალაქო ორგანიზაცია და სამხედრო დაცვა, რამაც მკვიდრნი საშინელსა და უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა. მთელს აღმოსავლეთში ინგლისმა მჭიდროთ მოიკიდა ფეხი. ინგლისელი ვაჭრები ჭიანჭველებსავით ედებოდენ ბუნებით უხვათ დაჯილდოებულს შორეულ აღმოსავლეთს და სარგებლობდენ თავის მრეწველობი[illegible] თვის სხვისი სიმდიდრით.

1784 წ. უნცროსმა პიტმა გაიყვანა ახალი ბილი, რომლითაც ინდოეთის მართვა-გამგეობა უბრუნდებოდა თვით მთავრობას. ამ წელს აქციების მომგებიანობა უდრიდა 380%! 1834 წ. უპირატესობის უფლებები საზოგადოებისა გაუქმებულ იქნა და მთელი ინგლისის ვაჭარ-მრეწველნი ერთგვარათ სარგებლობდენ ინდოეთთან ვაჭრობით. მთელს ამ ორ ნახევარ საუკუნეში დამყარდა ინგლისელთა უდრეკი ბატონობა ოკეანესა და აღმოსავლეთში.—ვაჭრობა და მრეწველობა ახალ აღმოჩენათა საშუალებითა აჩქარებულის ტემპით მიიწევდა წინ თავის განვითარებაში, რომელი წოდება იყო, რომ დაფარა მთელი ინგლისი ფართო და მშვენიერ სავაჭრო გზებით, აღმართა აუარებელი ქარხნები, გაამშვენიერა ყოველი კუთხე ქვეყნისა მჭიდროთ ერთიმეორეზე მიდგმულ სახლებით. გაბა ერთი შემაერთებელი სულიერი ძაფი ბრიტანეთის ყველა კუთხის მკვიდრთა შორის და დააკავშირა ის

მის მაღალ კედლებს, ვრცელ სივრცეს, უდიდეს სვეტებს, მარმარილოს ლოდებს და დარწმუნდებით, რამდენად უჩინარი, ეტომატი გეჩვენებათ თქვენი თავი და მასთან მთელი თანამედროვე ქართველობა ამ წარსულის უტყვ მოწმის წინაშე.

ჩვენ, რასაკვირველია არ ვოცნებობთ ამ ტაძრის ოცნება-განახლებაზე. არა, ჩვენ იმათ შთამომავალს აღარ ვეკუთვნით ვინც ეს უდიდესი სვეტები, ქუჩურთმით თლილი ქვები და არნამენტებით მოხაზული მასალები აზიდა ამ მაღლობზე, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გატაცება-გაფლანგვა უკვე არსებულისა და მართლაც, ტაძრი დასავლეთი კედელი მთლად გაძარცულია. ლამაზი თლილი ქვები კედლებიდამ გამოღებული და გატაცებულია.

ერთი დიდი სვეტი და რამოდენიმე მშვენიერი ხელოვნებით თლილი ქვა, იქვე ტაძრის პირდაპირ, არქიელის ეზოს გალავანში ჩაუტანებიათ და უბრალო ტალახსა და ქვებში ამ დიდებული ტაძრის ამაყი ხელოვნების ნაწილები, თითქმის დაცინვით და საყვედურით გამოიყურებიან ჩვენდა შესარცხვენად...

დიახ, მწარეა ჩვენი ფიქრები...

ჩვენი თავი ჩვენგნითვე უარყოფილია, დაწიხლულია და დაჩრდილული ჩვენი შემოქმედების ღირებულება. საკამათოდ და საპოლემიკოდ გამხდარა ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი...

ჩვენ უკვე საკმაო ეროვნულ უკეთურობას განვიცდით, მაგრამ უწყალო ბედმა ამაზე უფრო სასტიკი განსაცდელი რომ მოგვივლინოს, ჩვენ მაინც ჭკუას ვერ ვისწავლით.“

მაშინაც ჩვენ ერთმანეთში ჩხუბს და პარტიულ შეხეთქებას არ მოვიშლით და მტრის პასუხის გაცემის ნაცვლად, ერთმანეთს თავზე პოლემიკით სავსე გაზეთის ფურცლებს გადავახვევთ.

ჯაფარ-ფაშა.

ახალი ამბავი.

კვირას, 26 აპრილს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში „სამშობლოს“ რედაქციის, ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობის, ქუთ. ქართული გიმნაზიის დირეკტორისა და მასწავლებელთა კორპორაციის მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულის ბელეტრისტის და საზოგადო მოღვაწის ნიკო ლომოურის სულის მოსახსენებლათ.

✦ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი ბ. ია ეკალაძე და ის კომისია, რომელიც ნიკო ლომოურის ნეშტის დაკრძალვაზე დასასწრებლათ იყო წარსული ქ. გორიდან უკვე დაბრუნდა. დამსწრეთა გადმოცემით, მიუხედავათ ცუდი ამინდებისა გასვენებას დიდძალი საზოგადოება დასწრებია. დაწვრილებით ცნობებს შემდეგ ნუმერში მოვათავსებთ.

✦ ქუთაისის საერთოიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობამ ქალთა საზოგადოების სახელოსნო სკოლის სასარგებლოთ ასი მანათი გადასდვა. ამ ფულის შესახებ ქალთა საზოგადოებას ამას წინათ აღძრული ქონდა შუამდგომლობა ხსენებულ ბანკის წინაშე. დახმარების შესახებ ასეთივე შუამდგომლობა აღუძრავს ქალთა საზოგადოების გამგეობას სათ. აზნ. საადგ.-მამულო ბანკის გამგეობის წინაშე.

✦ ქუთ. დრამატიული საზოგადოების გამგეობის კრება გასული სეზონის ანგარიშების განსახილველათ მოხდა ხვალ, 29 აპრილს. საზოგადო კრება კი დანიშნულია 5 მაისისათვის.

✦ გუშინ ქალაქის თვითმართველობაში დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება. კრებას გასარჩევი ჰქონდა 24 საქმე.

✦ 26 აპრილს, დილით, ებრაელების უბანში იპოვეს ახლად დაბადებული მკვდარი ბავშის გვამი დედრობითი სქესისა.

✦ ბაზრის მეთვალყურის თანაშემწემ ბ. კორძაიამ ოქმი შეუდგინა 26 აპრილს მეფურნე ვლადიმერ დვალს ნიხრის დარღვევისათვის. ოქმი შეუდგინა აგრეთვე ჩარჩ მოვაჭრე ფარნაოზ ჩოგოვაძეს, დილით ადრე ორი საპანე ლობიოს ყიდვისათვის.

✦ ქალაქის სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ უსუფთაობის გამო ოქმები შეუდგინა დ. თმრონიშვილს, მ. ჩიკვაშვილს და ი. კიტელაშვილს.

✦ ქუთ. მთავრობის ქალთა რვა კლასიანი გიმნაზია წელს დაასრულა სულ 30 ქალმა. აი მათი გვარებიც: ადამია ნინო, აფრიდონიძე ნინო, ასათიანი ნინო, ახვლედიანი ნადეჟდა, გაჩეჩილაძე მარიამი, კაციტაძე ნინო, კუროჩკინა ზინაიდა, კუსკოვი ელენე, ლეკიშვილი პიტა, ლორთქიფანიძე თამარა, მარგველაშვილი თამარა, მურადოვი აგრაფენა, [illegible] მარიამი, რომანოვა ნადეჟდა, [illegible] ანა, სობურდო ანა, თვალ[illegible] ურუშაძე ნატალია, ხუნდაძე ფედოსი, ჭავჭანიძე ნინო, ჭეიშვილი აკიმინა და შარაბიძე ნინო.

✦ კვირას, 26 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა საერთოიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის წევრთა წლიური კრება. კრებაზე სულ გასარჩევათ დანიშნული იყო ოთხი საქმე. კრებამ გასული წლისა და მდგომარე წლის ანგარიშები ხანგრძლივი კამათის შემდეგ უცვლელათ დამტკიცა. ჯამაგირები მოუმატეს ბულგალტერს და ორ კასირს.

ბანკის თავმჯდომარემ თავ. ნ. ერისთავმა კრებას მოახსენა, რომ ავადმყოფობის გამო სამსახურს თავს ანებებს. საზოგადოებამ თავ. ერისთავს 11 წლის ერთგული სამსახურისათვის მადლობა გამოუცხადა და 2.000 მანეთით დააჯილდოვა. დანარჩენი საკითხების გარჩევა შემდეგისათვის გადაიდვა.

✦ სოფ. კურსების საკრედიტო ბანკის გამგეობამ ქ. ბათომიდან გამოიწერა 200 ფუთი შაბიამანი, რომელიც უკვე მიიღეს. ბანკის გამგეობამ შაბიამანი ბანკის 160 წევრს თანასწორათ გაუყო და ამას გარდა მიყიდეს 155 ღარიბსა და ჯარში გაწვეულთა ოჯახებს. შაბიამანი გაყიდეს ფუთი 7 მ 60 კ. თვითონ კი მოტანით 6 მანეთად დაუჯდათ.

✦ 26 აპრილს ტყიბულის რაიონში გორაკები ჩამოთოვა.

✦ ქუთაისის გუბერნატორს 6 სხვადასხვა პროვიზორი სთხოვს მისცეს მათ ნება ქუთაისში აფთიაქების გახსნისა. ამის შესახებ ბ. გუბერნატორი ქალაქის გამგეობას სთხოვს აცნობოს შეიძლება თუ არა დართონ მთხოვნელებს აფთიაქის გახსნის ნება.

✦ სრულიად რუსეთის წითელი ჯვრის კავშირის ქუთაისის განყოფილებამ ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა გადამდებ სნეულებიანთა საავადმყოფოს ინსტრუქცია, რომელიც შედგენილია განსაკუთრებული კომისიის მიერ უმაღლესი სახლობის ლეიბ-მედიკის ვ. პ. რაევის თავმჯდომარეობით.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრ. ქუთაისის განყოფილების გამგეობას ქუთ. გუბერნატორის ბ. პოტულოვის შუამდგომლობით უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ქალაქის ბაღში საზოგადოების სასარგებლოთ გამართოს სეირნობა ლოტარეია ალეგრით.

✦ დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება წარმოდგენა კონცერტულ და ლიტერატურული განყოფილებით. კონცერტულ განყოფილებაში სხვათაშორის პირველად იმღერებს ჩვენს სცენაზე იტალიის ოპერების რუსი მომღერალი ქალი ორლოვისა.

უფასო სასადილოს მომწყობი კომისიის კრება.

შაბათს, 25 აპრილს, ქალთა საზოგადოების სახელოსნო სკოლის დარბაზში შესდგა ჯარისკაცთა ბავშვებისათვის უფასო სასადილოს მომწყობი კომისიის კრება, რომელსაც დაესწრო კომისიის ყველა წევრი, ქალთა საზ. გამგეობის წევრები და გარეშენიც. კრებამ თავჯდომარეთ აირჩია ია ეკალაძე და მდივნათ ნიკანდრი ასათიანი. კრებამ სასადილოს მოწყობა უხერხულათ იცნო, რადგანაც სადილით ჯარისკაცების ყველა ბავში ვერ ისარგებლებდა და დაადგინეს, იშუამდგომლონ გუბერნატორთან, რათა ნება დართოს სასადილოს მაგივრათ დაურიგონ გამომცხვარი პური. კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს მოხსენება ბ. გუბერნატორთან წასარდგენათ. კომისიაში შედის ს. გ. ყიფიანი, ია ეკალაძე და რაე. კანდელაკი. მოხსენება შედგენილი უნდა იქნეს ამ თვის დამლევამდის და გუბერნატორს უნდა წარედგინოს ქალთა საზოგადოების გამგეობის სახელით.

სასადილოს მომწყობ კომიტეტის წევრებმა ქალთა საზ. გამგეობას, ჯარის კაცების ოჯახების შესახებ შეკრებილი ცნობები უკვე ჩააბარა.

თფილისი.

— ექიმი გულულიანცის მკვლელები უკვე დაიპატიმრეს, ზოგი მათგანი უკვე გამოტყდა დანაშაულში. როგორც ირკვევა, ექიმი ახლო ნაცნობი ყოფილა ვილაც ნაძირალა საეკვო პირების და ამ პირებს 15 მარტს გაუტყუვნიათ ვერის საფლაოსაკენ. აქ მისთვის გამოუტრიათ

ყველი და გაუძარცვავთ. ამის გამო დაეპატიმრეს ქურდები და სამარცხვინო საქმის ჩამდენნი: ალექსი ბაღდასაროვი, მიხ. კვირიკაშვილი, პანფეროვი, გალუტოვი, ვერა ავსიანოვისა, ნინა კლეშჩევი და სხვა.

— შაბიამანი. ქართული სამეურნეო საზოგადოების მდივანმა ვ. ი. რცხილაძემ სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა და ითხოვა მიეღოთ ზომები და მოეწესრიგებინათ შაბიამანისა და გოგირდის ფასი. შაბიამანს დღეს ჩარჩები ფუთს 30 მანეთად ყიდიანო, ამბობს მოხსენებაში ბ. რცხილაძე. ამის გამო მიმართეს სამხედრო უწყებას და ითხოვეს შაბიამანი და გოგირდი იძულებით ჩამოერთვათ ჩარჩებისათვის და ნიხრის მიხედვით გაეყიდათ. სამხედრო უწყებამ განმარტა, რომ რადგან არც ერთი და არც მეორე სამხედრო ნივთებს არ წარუდგენს, ამისათვის მისი საქმე არ არის ამის შესახებ განკარგულების მოხდენა, არამედ ეს ექვემდებარება სამოქალაქო უწყებასო.

— ნორმალური დასვენება. მეათე საპოლიციო უბნის სავაჭრო ზედამხედველმა ბ. გიგიბერიამ ნორმალური დასვენების დარღვევისათვის 7 ვაჭარს შეუდგინა ოქმი.

— ყინული. პეტროგრადიდან ქალაქისთავს შეეკითხენ თუ რამდენი ყინულის შოვნა შეიძლება დღეში. ქალაქის თავმა უპასუხა, რომ ამჟამათ ქალაქს აქვს შემონახული 6,000 ფუთი, ამას გარდა ყინულის საკეთებელი მანქანა ყოველ დღიურათ ამზადებს 300 ფუთსა. თუ ახალმა მანქანამ 15 მაისიდან მოუსწრო, მაშინ შეიძლება დღიურათ 700 ფუთის მომზადება. კერძო პირებს თფილისში ჰქონიათ 15,000 ფუთი თოვლი.

— კახეთის რკინის გზას 15 იანვრიდან 15 აპრილამდი 130,000 მან. შემოსავალი ჰქონია.

— კავკავის საურთიერთო ნდობის ბანკის გამგეობამ გადასდო თავისი მოგებიდან 2359 მ. 43 კ. კავკასიის ფრონტზე დაზარალებულ ოჯახთა სასარგებლოდ. ეს თანხა შემდეგნაირად უნდა განაწილდეს. 1) საქართველოს სგეკსარხისოსთან არსებულ კომიტეტს, რომელსაც თავჯდომარგობს ეკსარხოსი—589 მ. 86 კ. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას თფილისში—589 მ. 86 კ. სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებას თფილისში—589 მ. 85 და მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას თფილისში—589 მ. 86 კ. ეს თანხა უკვე გადმოეცა ზემო აღნიშნულ საზოგადოებებს 14 აპრილის თარიღით.

ლოთობა და ყურძნის ღვინო.

— —

შარშან ივლისში მსოფლიო ომის დაწყების დროს რუსეთში მოხდა დიდებული ამბავი: უმაღლესმა მთავრობამ სასტიკათ აკრძალა სპირტეულის ხმარება თითქმის მთელს იმპერიაში, დაკეტა კერძო და სახაზინო დუქნები, შეწყდა სპირტეულის ვაჭრობა, რუსეთის ხალხებმა გააგდეს ხელიდან არაყი, ლუდი, ღვინო, კონიაკი და ათასგვარი ლიქორები. შეწყდა ერთბაშათ ლოთობა, სიფხიზლე და შეგნებული მუშაობა დამყარდა სოფლათ და ქალაქათ. არაყის აკრძალვამ ჩაიდინა ნამდვილი სასწაული შიდა გუბერნიებში: შემცირდა საყოველთაოთ და საოცარი სისწრაფით ქურდობა, ცარცვა-გლეჯა და კაცის კვლა, რაც აღტაცებით აღნიშნეს რუსეთის ჟურნალ-გაზეთებმა. საგულისხმო ის არის, რომ მთავრობის ასეთ გონივრულ განკარგულებას სიხარულით მიეგებენ თვით ხალხი, საზოგადოება, პრესა, ერობანი, ქალაქის თვითმართველობანი და საერთოდ ყველა კულტურული დაწესებულება. რუსეთის სოფლებში ხალხი თავის ნებით ახდენდა ყრილობას და დადგენილებას ლოთობის წინააღმდეგ და არაყის დუქნების სამუდამოთ დაკეტის შესახებ. ასეთ დადგენილებას ახდენდენ აგრეთვე ქალაქები და ერობანი. დაიმსხვრა ბახუსის კერპი ათასი წლობით გაღმერთებული.

მთავრობის გონივრულ განკარგულებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ქონდა ჯარების მობილიზაციის დროს. ეს მობილიზაცია მოხდა მეტათ წესიერათ და სისრაფით. მასსიურმა სიფხიზლემ გააძლიერა პატრიოტული გრძნობა და ხალხს დაუბადა რწმენა გამარჯვებისა ძლიერ მტერზე.

გავიდა თვეები. საუკუნოებით სპირტოულს დაჩვეულმა უზარმაზარ რუსეთის ხალხებმა ველარ შეიკავეს თავი და იწყეს მრავალ სოფლებსა და ქალაქებში ძველებური ლოთობა. რადგან არაყი ველარ იშოვეს, მიმართეს მომწამლველ სუროგატებს **დენატურატს, კვასოკს და პოლიტურას.** ამ სპირტის საშინელმა სუროგატებმა მოწამლეს ხალხი და მიაყენეს ბევრათ მეტი ზიანი, ვინემ თვით ნამდვილმა სპირტმა და არაყმა. მთავრობამ მიაქცია ყურადღება ასეთ სამწუხარო მოვლენას, მაგრამ მის წინაამდეგ ბრძოლა შეიქნა პირდაპირ შეუძლებელი. ეს საშინელი სენი ედება დღეს საოცარი სისწრაფით რუსეთის სოფლებსა და ქალაქებს.

როგორც ეტყობა, ვერავითარი აკრძალვა და რეპრესიები მას ვერ შეაჩერებს. საჭიროა ამ შემთხვევაში სულ სხვაგვარი მოქმედება. ამ მძიმე საკითხის გადასაწყვეტათ ჩვენ უნდა მივმართოთ სტატისტიკას და ევროპის განათლებულ სახელმწიფოთა ცხოვრებას.

სტატისტიკა ნათლათ გვეუბნება, რომ კაცობრიობის კულტურის ზრდასთან ერთათ მატულობს სპირტოულის ხმარებაც, განსაკუთრებით ვრცელდება **ლუდი და ყურძნის ღვინო,** რომლებშიც სპირტი მოიპოება მხოლოდ 3—16%-დე. სპირტის ასეთი მცირე შემადგენლობა ლუდსა და ღვინოში სხვა სასარგებლო ნივთიერებასთან ერთად არათუ ვნებს ადამიანს, არამედ შეადგენს სხეულის საზრდოს და დიდათ მარგებელია კიდეც, რაც უკვე დაამტკიცა პრაქტიკამ და მეცნიერებამ, თუ კი ამ სასმელებს იხმარს ადამიანი ზომიერათ და გაიხდის მათ ყოველ დღიურ საზრდოთ. ევროპის ჩრდილოეთის სახელმწიფონი, ინგლისი, გერმანია, ბელგია, ავსტრო-უნგრეთი და შვეიცარია ამზადებენ და ნთქავენ აურაცხელ ლუდს, მაგრამ ამით არაფერი ვნებია ამ ხალხების ფიზიკას და ფსიხიკას, არაფერი ზიანი მისცემია მათ მაღალ კულტურას. მათ ულუდოთ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ და ეს სასმელი შეადგენს მათთვის თითქმის ისეთ საჭიროებას, როგორც პური და კართოფილი.

არსად მთელს დედამიწაზე იმდენი ღვინო არ მოდის, რაც საფრანგეთსა და იტალიაში და არსად იმდენი ღვინო არ ისმება რაც ამ ქვეყნებში. მაგრამ ამ ხალხთა ფსიხიკას და ეროვნულ ღირსებას ამით არამც თუ დააკლდა რამე, არამედ მოემატა კიდეც, რადგან ყურძნის ღვინო იწვევს მხიარულებას და არა უაზრო ლოთობას. მათი სიუხვე, გულადობა, სიცხოველე, სიხალისე, შემოქმედება, დარდიმანდობა და სხვა რაინდული თვისებანი აიხსნება უმთავრესათ სამხრეთის მზით და ყურძნის ღვინით. ამ ქვეყნებიდან აუარება ღვინო გაიქვთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში, რუსეთსა და ამერიკაში. მართო საფრანგეთი ყიდის წლიურათ რამდენიმე მილიარდ ფრანკის ღვინოს. ღვინო და აბრეშუმი,—აი საფრანგეთის სიმდიდრის ორი უმთავრესი წყარო!

— ბლომათ მოყავთ ღვინო აგრეთვე ესპანიაში, ალჟირსა და საბერძნეთში.

რუსეთის იმპერიის ფარგალში კი არსებობს ღვინის ოთხი უმთავრესი რაიონი: **საქართველო, განჯა, ყირიმი** და **ბესარაბია.** ამათში იქნება დაახლოებით **120.000 დესიატინა ვენახი,** რომლებიც იძლევა თითქმის **20 მილიონ ფუთ ღვინოს,** ღირებულს საშუალოთ **50 მილიონ მანეთათ.** ამ ღვინოების მეტი ნაწილი ისმება ადგილობრივ, დანარჩენი კი გაიქვთ გასაყიდათ რუსეთის შიდა გუბერნიებში.

ღვინის გაყიდვის აკრძალვამ ომის დროს ამ ოთხ რაიონში მეტათ შეავიწროვა მევენახენი და სამჩნევათ დასცა ხალხის ნივთიერი კეთილდღეობა. მეორე მხრით, როგორც ვთქვით, წარმოშვა რუსეთში სუროგატების ხმარება და ხალხის მასსიური მოწამვლა.

ამ სამწუხარო მოვლენას უკვე მიაქციეს ყურადღება მთავრობამ, პრესამ და საზოგადოებამ. როგორც გავიგეთ, უმთავრეს სფერებში მუშავდება კიდეც პროექტი ლუდის და ყურძნის ღვინის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მთელი რუსეთის იმპერიაში. ხოლო ლუდის სიმაგრე არ უნდა აღემატებოდეს $3^1/_2$°-ს, ღვინის სიმაგრე-კი 16°-ს. ეს ნორმა სრულებით საკმარისია და ღვინისათვის კიდეც ზედმეტი, რადგან საზოგადოთ სასუფრე და შუშხუნა ღვინოები არ აღემატება 14°-ს, მხოლოდ ლიქორულ ღვინოების სიმაგრე ადის 16°-დე, ხანდახან მეტზედაც.

ჩვენის ღრმა რწმენით, რუსეთის ხალხები მხოლოდ მაშინ გადაჩვეყიან მავნებელ ლოთობას და დამღუპველ მოწამვლას დენატურატ-პოლიტურათი, როცა მათ მიეცემათ საშუალება იშოვონ ყოველდღიურ სახმარებლათ **იაფი და სალი ყურძნის ღვინო.** ამიტომ ამ საკითხს უნდა მიაქციოს მთავრობამ, პრესამ და საზოგადოებამ განსაკუთრებითი ყურადღება. ყირიმი, ბესარაბია, ჩრდილო და ამიერკავკასია, განსაკუთრებით კი საქართველო, ისეთი შესანიშნავი ადგილებია, სადაც შესაძლოა ღვინის წარმოება გაიზარდოს ბუმბერაზიულ ნაბიჯით და ადვილათ დაკმაყოფილოს 160 მილიონიანი რუსეთი. მარტო საქართველოში შესაძლებელია ვენახის რაოდენობა ავიყვანოთ **ნახევარ მილიონ დესიატინამდე** და დავამზადოთ წლიურათ დაახლოებით **100 მილიონი ფუთი** ღვინო, ღირებული **200—250 მილიონ მანეთათ.** ეს ციფრი ნურავის მიაჩნია გადაჭარბებულათ; საფრანგეთში მარტო ეროს დეპარტამენტში არის დღეს თითქმის **200 ათასი დესიატინა ვენახი** და იძლევა დაახლოებით **60 მილიონ ფუთ ღვინოს.** ეროს დეპარტამენტი კი იმერეთზე ბევრათ პატარაა.

— ამიტომ ღვინის წარმოების გადიდების საქმეს ჩვენ ვუცქერით ამიერიდან როგორც **სახელმწიფო პირველხარისხოვან საკითხს.** ღვინის წარმოების განვითარებას ეპყრება **იაფი სესხი, სპეციალური ცოდნა, ტექნიკა და გონივრული ორგანიზაცია.** ამ რთული წარმოების განხორციელება მეურნეებს თავის უსახსრობით და მცირე ძალონით არ შეუძლიათ. საჭიროა აქ მთავრობის ფართო დახმარება იაფი სესხით, სპეციალურ სკოლებით და მეტადრე კერძო ინიციატივის ხელის შეწყობით. ამისათვის კი საჭიროა ზემო ჩამოთვლილ რაიონებში და განსაკუთრებით საქართველოში დაარსდეს **ერობა ფართო უფლებებით.** მხოლოდ ასეთ ერობას შეუძლია განავითაროს ხალხი ნივთიერათ და კულტურულათ. დიდი სამსახური გაუწია ერობამ რუსეთის შიდა გუბერნიებს. რუსეთის განაპირა ქვეყნებიც და კერძოთ საქართველო დიდი ხანია მომწიფდენ ერობისათვის. ფრიად სასურველია მთავრობამ ახლა მაინც მიაქციოს ყურადღება ამათ და შემოიღოს ფართო უფლებიანი ერობა, ურომლისოთ მეტის მეტათ ფერხდება მეურნეობის და მრეწველობის განვითარება.

დიდხანია დაამტკიცა საქართველომ მთავრობის წინაშე თავისი უაღრესი ერთგულება და ცხად ჰყო თავისი მაღალი კულტურა წარსულ დროთა სვლაში შექმნილი. დღეს მსოფლიო ომის დროს საქართველომ გაუგზავნა **300 ათასი რჩეული მეომარნი,** რომელნიც წავიდენ ბრძოლის ველზე სიმღერით და ცეკვა-თამაშით, რაინდობის სული ჩაუდგეს ბევრ ალაგს იმპერიის ლაშქარს და ნათელ ყვეს თავის საარაკო გმირობა და მამაცობა გერმანელთა, ავსტრიელთა და ოსმალთა წინააღმდეგ უსასტიკეს ბრძოლაში... ვგონებთ, ასეთი ხალხი ღირსია ფართო ერობის, სხვა კიდევ მეტი უფლებებისა და პატივისცემის.

ვირწმუნოთ, რომ რუსეთის მთავრობა და საზოგადოება არ დაივიწყებს ქართველი ერის ასეთ ღვაწლსა და თავგანწირვას ამ საშინელ ომის დროს და მიუბოძებს შესაფერ ჯილდოს.

რაც შეეხება აქციზის შემოღებას ღვინოზე, რომელიც სურს დაადგინოს მთავრობამ, ვიტყვით, რომ ასეთი ზომა იქნებოდა ფრიად მავნებელი, ძლიერ შეაფერხებდა მევენახობა-მეღვინეობის განვითარებას, რაც დღეს მეტათ სასურველია, ხელს შეუწყობდა ღვინის ფალსიფიკაციას და ამ გვარათ დიდ ზიანს მისცემდა, როგორც მწარმოებელთ და ღვინის მომხმარებელ ხალხს, ისე მთელს სახელმწიფო ინტერესებს. ეს საკითხი კიდეც გაარჩეს სამეურნეო საზოგადოებასა და მევენახობა-მეღვინეობის კომიტეტებში, ყველგან უარყოფით შეხვდენ მას და ერთ ხმათ ცვნეს აქციზის შემოღების დიდი მავნებლობა. სრული იმედი გვაქვს, რომ მთავრობა მიაქცევს ამას ჯეროვან ყურადღებას და უარყოფს თავის პროექტს ღვინოზე აქციზის შემოღების შესახებ.

სიმონ ქვარიანი.

ოდეში დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები.

(საკუთ. კორესპ.)

ჯულფიდან ჩამოიყვანეს 24 აპრილს და თფილისის განმანაწილებელ საავადმყოფოში მოათავსეს:

1) ვლადიაერ არქიპოს ძე კანდელაკი ს. ზარათი ქუთაისის მაზრა (ხელი აქვს ნაღძობი). 2) შამუკია სამსონ იორდანეს ძე, სოფ. კოკა, ზუგდიდის მაზრა (ავად არის). 3) კუპატაძე კარპენ მათეს ძე, სოფ. ჯვარიეწერი, შორაპნის მაზრა (ავად არის). 4) გუგუნავა ბარნაბ ნიკოლოზის ძე, ს. დიდი ჯიხაიში ქუთ. მაზრა (ავად არის). 5) კვესავა ილია პავლეს ძე, სოფ. მარტვილი სენაკის მაზრა (ავად არის). 6) ვახტანგაძე ერმილე მოსეს ძე, სოფ. სორმონი ქუთაისის მაზრა (მსუბუქათ არის დაჭრილი მარჯვენა ხელში). 7) ქოქოსაძე სიმონ კაციას ძე სოფ. ქედისუბანი რაჭიდან. ავად არის.

შ. ჟორდანია.

დაბა-სოფელი.

— —

სოფ. მექვენა. (ლეჩხუმის მაზრა). კვირას, 5 აპრილს, მექვენის, იგივე დერჩის საზოგადოების გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობამ მოაწყინა წლიური ანგარიში. ამხანაგობას წასული 1914 წლის შემოსავლიდან დარჩა წმინდა შემოსავალი დაახლოებით 700 მან. კრებამ დაადგინა მესამედი ამა შემოსავლისა გადადებულ იქნას სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა სასარგებლოდ შემდეგი წესით: ას ასი მანეთი მოხმარდეს დერჩის და მექვენის ერთკლასიან სამინისტრო უწყების სასწავლებლებს, ორმოცდა ხუთი მანეთი კი ტვიშის სამრევლო სასწავლებელს. ეს კარგი და პატიოსანი საქმეა ყოველთვის შეგნებულმა ადამიანმა უპირველესობა სწავლა განათლებას უნდა დაუთმოს, მაგრამ შესახებ ამგვარი განაწილებისა, არ შემიძლია მცირედენი შენიშვნა არ მივცე ბ.ბ. ამხანაგობის წევრთ. დერჩის საზოგადოებაში, გარდა ზემოხსენებულ სამი სკოლისა, კიდევ არსებობს ოთხი სამრევლო სასწავლებლები, რომელთაც მატერიალური დახმარება უფრო ეჭირვებათ, ვიდრე ხსენებულ სკოლებს, მაგრამ ამხანაგობამ ამ სკოლებს ყურადღება აუარა. ჩემი აზრით, რადგანაც ეს მესამედი შემოსავალი გადადებული სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებისა ერთ რომელიმე [illegible] აქედან ამხანაგობას მცირედენი პროცენტი მაინც სხვა საჭიროებისათვის უნდა მოეხმარა. მაგალითად აკაკის ფონდის გასაძლიერებლად, ომში დაჭრილ ჯარის კაცთა სასარგებლოდ და სხვა, მაგრამ ამხანაგობას ალბად ეს ქველმოქმედებათ არ მიუჩნია. ძლიერ კარგი და სასურველი იქნება თუ ამხანაგობა ამგვარ უკანონო განაწილებას შეცვლის და უფრო კანონიერად გააწესრიგებს.

მასწავლ. ევ. სანიკიძე.

პასუხათ ბ-ნ სვირეში მოსულს.

(გოგირდისა და კირის ხმარება ვენახების საწამლებლათ.)

ცნობილი მიკოდოგი ბ. ა. იაჩევსკი დანამდვილებით გვირჩევს მივმართოთ შაბიამნის უქონლობის გამო ვაზის საწამლებლათ გოგირდითა და კირის ნარევს ერთად წყალში გაქნილს. აი როგორ მზადდება ეს საშუალება: უნდა აიღოთ $3^1/_2$ გირ. გოგირდის ფხვნილი (Сѣрный цвѣтъ) და $3^1/_2$ ბ. ქვა კირი. ქვა კირი ჯერ უნდა დაანთოთ წყლით; როცა კირი აიფუნჩება და ცხელია, მას ნელ-ნელა ნაწილ-ნაწილათ უნდა მიუმატოთ გოგირდი და თანდათან ჩქარა ურიოთ და თან ცოტა ცოტა წყალი უმატოთ დაახლოებით ერთ ფუთამდის. ამ სითხეს ხანგრძლივი რეგის შემდეგ უნდა მიუმატოთ ხუთი ფუთი წყალი, აურიოთ ძალზე და წამალი მზათ იქნება რომ შეჩერდება სითხე თავზე მოიეენებს გოგირდის ჭეკეს, მაგრამ ეს არაფერია. ხელმეორე დარეცეთ ის ისევ გაიქვიფება.

წამალი ესხურება ვენახებს როგორც შაბიამნი ვერმორელის მანქანით.

კ. ბერეკაშვილი.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. ბ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники“ въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

ძველი იეყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ლიმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2 ტ.—3 მ.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართლისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით **ფასი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სოროპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Редакція „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**